



MES 7 21 0001392734



20/12/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2020 წლის 6 დეკემბერს. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/87524807299?pwd=OE1HUXIHVFR4Y0dzU21nNFJrZHNsZz09>

Meeting ID: 875 2480 7299

Passcode: 425496

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

მარია ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის – „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ლამარა მიქაბერიძე - სტაჟიორი

დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი:

თეიმურაზ ლორთქიფანიძე - დირექტორი

ნინო ძაგანია - ხარისხის მართვის მენეჯერი

როინ გრძელიშვილი - პროგრამის განმახორციელებელი

ღვთისო ტურძილაძე - პროგრამის განმახორციელებელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

არჩილ ცინცაძე

ვასილ ლიპარტელიანი

ზურაბ ხომასურიძე

გიორგი ბერიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 13:14 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ ვერ მოახერხებდა ოქმისა და გადაწყვეტილებების მომზადებას, შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარის მიერ განისაზღვრა ოქმისა და გადაწყვეტილების მოსამზადებლად საბჭოს მდივნად - საბჭოს წევრი გიორგი გამყრელიძე.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „საფეხმავლო გამყოლი“ /01203/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.
 2. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ფეხბურთის ინსტრუქტორი“ /01206/ (ქ. ქუთაისი) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
 3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ცურვის ინსტრუქტორი“ /01207/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
 4. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ძიუდოს ინსტრუქტორი“ /01209/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
 5. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ძიუდოს ინსტრუქტორი“ /01208/ (ქ. ქუთაისი) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
- საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი.

ოქმის ნაწილი I

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე ჩაეტარებინათ 2 დეკემბრის საბჭოზე განხილული საკითხების კენჭისყრა, ვინაიდან წინა სხდომის დასრულებამდე თორნიკე ჯობავამ დატოვა სხდომა და ქვორუმის არ არსებობის გამო ვერ მოხერხდა საკითხებზე კენჭისყრა.

ვინაიდან 2 დეკემბრის საბჭოს სხდომას ესწრებოდა საბჭოს სხვა წევრთა შემადგენლობა, კერძოდ, ესწრებოდნენ ნათია კვიციანი და ნიკოლოზ მესხიშვილი, აღნიშნული საკითხების განხილვაში მონაწილე საბჭოს წევრებმა ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებით მიიღეს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, 2 დეკემბრის საბჭოს დღის წესრიგში არსებული პროგრამების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღო საბჭოს ზუსტად იმ წევრებმა, ვინც ჩართული იყო განხილვის პროცესში 2 დეკემბერს.

1. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ფიტნესის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 7

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფიტნესის ინსტრუქტორი /01202/.

2. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „კრივის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კრივის ინსტრუქტორი /01200/ (**დანართი 1**).

3. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორი /01199/ (**დანართი 2**).

4. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „სპორტული მასაჟისტი“ (ქ. თბილისი) პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სპორტული მასაჟისტი /01204/ ქ. თბილისში **(დანართი 3)**.

5. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „სპორტული მასაჟისტი“ (ქ. ქუთაისი) პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სპორტული მასაჟისტი /01205/ ქ. ქუთაისში **(დანართი 4)**.

საკითხთა კენჭისყრის დასრულების შემდეგ საბჭო შეუდგა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას.

ოქმის ნაწილი II

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „საფეხმავლო გამყოლი“ /01203/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ

იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა მაია აბდალაძემ. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 10 ნოემბრის №1210287 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაია აბდალაძემ და დარგის ექსპერტმა არჩილ ცინცაძემ შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „საფეხმავლო გამყოლის“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2021 წლის 15 ნოემბერს განახორციელეს დისტანციური ვიზიტი კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დაწესებულების წარმომადგენლებთან. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

ცენტრის წარმომადგენელმა თავდაპირველად ისაუბრა წარმოდგენილი პროგრამის შესახებ. აღნიშნა, რომ „საფეხმავლო გამყოლი“ არის პროფესიული გადამზადების პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე-მეოთხე, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, მოთხოვნილი მსმენელთა რაოდენობა - 8, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. №55. შემდეგ ისაუბრა პროგრამაში დაფიქსირებულ ხარვეზებსა და რეკომენდაციებზე. კერძოდ, დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

1.1 ქვესტანდარტი - დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტი, „პროგრამის განხორციელების საჭიროება“ კარგად ვერ ასაბუთებს შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას ამ მიმართულებით. არ არის თანდართული კვლევის/ანალიზის დოკუმენტი. წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების საჭიროების დასაბუთება ვერ ჩაითვლება, რომ ამ ქვესტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია: სასურველია, პროგრამის შემუშავების დასაბუთების კვლევაში გამოყენებული იყოს კერძო, საჯარო და არასამთავრობო სექტორების კვლევები, სადაც ფიქსირდება ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა შრომის ბაზარზე.

1.4 ქვესტანდარტი - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატური არ არის. პროგრამის დაშვების წინაპირობაში არ არის გათვალისწინებული საგამოცდო ტური (კონდიციის ტესტი), რაც უნდა იყოს.

რეკომენდაცია: პროგრამის დაშვების წინაპირობაში უნდა იყოს მისაღები ტურის ჩატარება რეალურ პირობებში, საერთაშორისოდ აღიარებული ნორმატივების მიხედვით.

1.7 ქვესტანდარტი - წარმოდგენილი გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა არ არის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატური, კონკრეტულად, „საფეხმავლო გამყოლის“ პროფესიული გადამზადების პროგრამისთვის 10 კვირა არის საკმარისზე ბევრად მეტი. თუმცა, პროგრამაში არის მოცემული 5 სწავლის შედეგი, რომლებიც თავისი შინაარსით და დატვირთვით არის სხვადასხვა მოცულობის და შესაბამისად სჭირდება სხვადასხვა საათობრივი სწავლება. მოცემულ პროგრამაში ყველა სწავლის შედეგს დათმობილი აქვს ორი კვირა და არ არის კარგად გააზრებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა რა დროს მოითხოვს.

რეკომენდაცია: გაანალიზდეს პროგრამის სწავლის შედეგები, პირველ რიგში განისაზღვროს რა კომპონენტები ისწავლება თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებში, დაზუსტდეს სწავლის შედეგების თემატიკას რა დრო დასჭირდება „A“ და „C“ გარემოებში, როგორ იქნება განაწილებული თეორიული და პრაქტიკული სწავლება.

1.9 ქვესტანდარტი - გამომდინარე იქედან, რომ პროგრამის სწავლების უმეტესი დრო უნდა ეთმობოდეს „C“ გარემოში ტურების კეთებას, პრაქტიკულ დავალებას და ეს უნდა ხდებოდეს რეალურ გარემოში და არა თბილისის მახლობლად, მსგავს რელიეფზე, შესაბამისად, სამუშაო გარემო ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

კოლეჯს არ აქვს განსაზღვრული სად განხორციელდება კონკრეტულად სწავლების პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამის განხორციელების პროცესში მსმენლები ვერ მოხვდებიან შესაბამის რეალურ გარემოში. შესაბამისად, პროგრამა არ ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.

რეკომენდაცია: სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმის განსახორციელებლად, სასურველია დაიდოს ხელშეკრულებები (მემორანდუმი) პროფესიულ ასოციაციებთან და ამ სფეროში მომუშავე კერძო სექტორთან და არა სპორტულ და მოყვარულთა კავშირებთან. დაზუსტდეს სად განხორციელდება კონკრეტულად სწავლების პრაქტიკული ნაწილი.

საფეხმავლო გამყოლის პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად მისაღწევად, სწავლების უმეტესი დრო უნდა ეთმობოდეს “C” გარემოში ტურების კეთებას და ეს უნდა ხდებოდეს რეალურ გარემოში და არა თბილისის მახლობლად, მსგავს რელიეფზე.

2.3 ქვესტანდარტი წარმოდგენილია სამი სასწავლო მასალა. ერთი სასწავლო ლიტერატურა არ შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო თემატიკას (ა.გურასაშვილის „მცინვარწვერიდან ევერესტამდე“, ხოლო მეორე და მესამე სახელმძღვანელო (დ.კერესელიძის - გეოგრაფია და ლ.დოლიკაშვილის, კ.არაბულის „ტურიზმის საფუძვლები“) სრულად ვერ ფარავს პროგრამის სწავლის შედეგებს, კერძოდ არ იფარება მესამე, მეოთხე და მეხუთე სწავლის შედეგი და ნაწილობრივ იფარება პირველი და მეორე სწავლის შედეგი).

რეკომენდაცია: სასწავლო მასალა სრულად უნდა ფარავდეს და შეესაბამებოდეს პროგრამის სასწავლო თემატიკას. არსებობს უამრავი წყარო და სასწავლო ლიტერატურა, რომელიც გამოცემულია უცხოური პროფესიონალური კავშირების მიერ. რეკომენდებულია ასეთ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება და შესაბამისი თანამედროვე სასწავლო და საპრეზენტაციო მასალის მოპოვება და თარგმნა.

2.1 ქვესტანდარტთან მიმართებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა, თუმცა გაიცა რეკომენდაცია: განმახორციელებელი, ვისაც უწევს პრაქტიკული ნაწილის სწავლება, უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ იგივე ნორმატივს, რაც მოეთხოვებათ მსმენელებს. რეკომენდებულია მასწავლებლებისთვის ჩატარდეს გადამზადების კურსები, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს.

მაია აბდალაძემ საბჭოზე წარადგინა კოლეჯის აღჭურვილობისა და იმ სასწავლო აუდიტორიის ამსახველი ვიზუალური მასალა, სადაც მოხდება თეორიული კომპონენტის სწავლება.

შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს, ბატონ არჩილ ცინცაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ პროგრამისთვის საფეხმავლო გამყოლის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა პროგრამის სწავლების მეთოდიკის ძირეული ცვლილება, კერძოდ საჭიროა მეტი დრო დაეთმოს რეალურ გარემოში პრაქტიკულ სწავლებას, ნაცვლად მრავალკვირიანი თეორიული სწავლებისა. ამასთან ყურადღება გამახვილდა ამ მიმართულებით ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე. მიუხედავად ნამდვილად არსებული მაღალი მოთხოვნისა, ხარვეზია, როდესაც დაწესებულებას წარმოდგენილი არ აქვს შესაბამისი კვლევა, დასკვნები და სტატისტიკური მონაცემები ამის დასადასტურებლად.

წინაპირობებისა და პრაქტიკული კომპონენტის ჩატარების თაობაზე დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ 50-მდე ქვეყანას აქვს „საფეხმავლო გამყოლის“ პროგრამა, დაწესებულებას უნდა მოეძიებინა თუ რა წინაპირობები აქვთ გათვალისწინებული სხვადასხვა ქვეყანაში. რაც შეეხება საათებს, 10 კვირიან ხანგრძლივობასა და განაწილებას, რეკომენდებულია პროგრამის ხანგრძლივობა იყოს მაქსიმუმ 5-6 კვირა, ასევე კონკრეტულად იყოს გაწერილი საკონტაქტო საათები, კერძოდ თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის, რაზეც კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა, ნინო მაგანიამ, აღნიშნა, რომ ელექტრონული სისტემა არ იძლეოდა ამის საშუალებას. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთია პროგრამის დოკუმენტი არ ითვალისწინებს საათების გამიჯვნას თეორიასა და პრაქტიკაზე, თუმცა ამავე კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო ვიზიტის დროს გასაუბრებისას.

შემდგომ დარგის ექსპერტმა ისაუბრა მისაღებ ტურზე. მისი შეფასებით, დარბაზსა და მოედანზე აწევებითა და სირბილით ჩატარებული ტურით ვერ მოხდება პროგრამაზე

ჩარიცხვის მსურველთა შემოწმებასა და მათი ფიზიკური მზაობის დადგენას ისეთ სიმალეზე მუშაობისთვის, სადაც ჟანგბადის შემცველობა განსხვავებულია. გაიცა რეკომენდაცია, რომ მისაღები ტური ჩატარდეს რეალურ სიტუაციაში. გარდა ამისა, დარგის ექსპერტი შეეხო სასწავლო რესურსებს, მან დასძინა, რომ დაწესებულების მხრიდან მოწოდებული იყო მხოლოდ 3 სახელმძღვანელო.

პროგრამის განმახორციელებელმა, ბატონმა თემურ კობრიძემ გააკეთა კომენტარი, რომ პროგრამა არ შემოიფარგლება მხოლოდ თბილისით, ისინი დაინტერესებული არიან, რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული მეცადინეობა ჩატარდეს, სადაც მსმენელები შეძლებენ ზურგჩანთის ჩალაგებას, კარვის გაშლას, მდინარეებისა თუ ხეობების გავლას. რაც შეეხება მარკირებულ მარშრუტებს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბევრი გასვლაა. სასწავლო რესურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო მასალები გამორჩენილია, თუმცა დაწესებულებაში არის საკმარისი სასწავლო რესურსი, დაწესებულება პროგრამის ფარგლებში ამ რესურსით ხელმძღვანელობს.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით წარმოადგინა დაწესებულების პოზიცია, კერძოდ:

1.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჩატარდა კვლევა იმაზე, რომ ეს პროფესია, „საფეხმავლო გამყოლი“, ზოგადად მოთხოვნადია. ერთადერთი მინუსი წარმოდგენილი დოკუმენტისა არის ის, რომ მასში სტატისტიკური მონაცემები არ იყო ჩასმული, თუმცა თავად დარგის ექსპერტიც ადასტურებს, რომ ამ პროფესიაზე არის მზარდი მოთხოვნა. კოლეჯის მიზანია, რომ მოამზადოს ისეთი სპეციალისტი, რომელიც იქნება სერტიფიცირებული, ექნება შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა ბაზრის მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

1.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით განსაზღვრულია კონდიციის ტესტი, თუმცა ის სპორტული ტური, რომელსაც კოლეჯი წარმოადგენს 4 სახეობაში, ის მოცემულობაა, რომელსაც პროგრამაში მონაწილე ადამიანი უნდა ფლობდეს. გარდა ამისა, გადამზადების პროგრამაში ჩართულ პირებს უკვე აქვთ ამ სფეროში გამოცდილება. დაწესებულება ეთანხმება გაცემულ რეკომენდაციას იმის შესახებ, რომ გადაიხედოს სპორტული ტურის დებულება და მოერგოს კონკრეტულად მომზადება-გადამზადების საჭიროებას, რაზეც მუშაობა უკვე დაწყებულია.

1.7 ქვესტანდარტით გათვალისწინებული პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, შეზღუდვის არ არსებობიდან გამომდინარე დაწესებულებამ აიღო 10 კვირა იმის გათვალისწინებით თუ ვინ შეიძლება გახდეს პროგრამის მსმენელი. მათ უკვე აქვთ გამოცდილება და მუშაობენ ამ მიმართულებით, მაგრამ არ აქვთ აღიარება და სურთ ამ არაფორმალური განათლების მქონე პირებს აიღონ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი. პროგრამის ფარგლებში სურთ სერტიფიკატის მიღება და ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავება. შესაბამისად, ათკვირიანი ხანგრძლივობა აირჩა მსმენელთა დაკავებული გრაფიკიდან გამომდინარე, ვინაიდან მათი ადგილზე, A და C გარემოში, ყოფნის საათების რაოდენობა კვირაში შეზღუდულია.

1.9 ქვესტანდარტი ეხება მეკლდეურობის უნარ-ჩვევებს. საათების მეტი წილი დათმობილია C გარემოზე, ამასთან სამთო გამყოლის პროგრამის ფარგლებში, ერთი კვირით ხდებოდა სტუდენტთა წყვანა ბაკურიანში, სადაც ისინი სხვადასხვა სირთულის ბილიკებსა და გზებზე დადიოდნენ ერთი კვირის განმავლობაში, აქტივობებში დღეში 8-9 საათიანი ჩართულობით. ასევე კოლეჯმა მოიწვია მოლაშქრეთა კლუბ „იეტის“ დამფუძნებელი. ის უშუალოდაა მსმენელთა დამსაქმებელი. არაერთი სტუდენტია დასაქმებული ამ და სხვა მოლაშქრეთა კლუბებში.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ დასმული კითხვის საპასუხოდ, კერძო სექტორთან კომუნიკაციის თაობაზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ გაფორმებულია ხელშეკრულება მოლაშქრეთა ეროვნულ ასოციაციასთან, კლუბ „იეტისთან“ და მეკლდეურობის ფედერაციასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „საფეხმავლო გამყოლი“ /01203/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 7

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) უარი ეთქვას, განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - საფეხმავლო გამყოლი /01203/.

2. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ფეხბურთის ინსტრუქტორი“ /01206/ (ქ. ქუთაისი) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ექსპერტის და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოზე პრეზენტაცია წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ნოემბრის №1239394 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ვასილ ლიპარტელიანმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ფეხბურთის ინსტრუქტორის“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი დისტანციურად და 2021 წლის 19 ნოემბერს განახორციელეს კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრება. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

ცენტრის წარმომადგენელმა ისაუბრა წარმოდგენილი პროგრამის შესახებ, აღნიშნა, რომ ფეხბურთის ინსტრუქტორის პროგრამა არის მე-4 დონის პროფესიული მომზადების პროგრამა, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, ჯამში 220 საათი, კვირეული დატვირთვასაშუალოდ

20-25 საათი. განხორციელების ადგილი - ქ. ქუთაისი, გაპონოვის ქ. №11, მოთხოვნილი მსმენელთა რაოდენობა - 20, მან დასძინა, რომ ექსპერტიკ ადასტურებს, რომ შესაძლებელია ამ რაოდენობის მსმენელების ერთდროულად მიღება.

შემდეგ იგი შეეხო, გაცემულ რეკომენდაციებს, კერძოდ:

1.4 ქვესტანდარტი დაფიქსირებულია ტექნიკური უზუსტობა. პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე დაშვების წინაპირობაში არ არის მითითებული სრული ზოგადი განათლება. ყველგან არის მითითებული 18 წელი და სპორტული ტურის დებულება, თუმცა არ არის მითითებული, ითხოვენ საბაზო, თუ სრულ განათლებას. ზეპირსიტყვიერად მიღებული განმარტების თანახმად, ყველა პროგრამის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს სრული ზოგადი განათლება. აღნიშნული ტექნიკური უზუსტობა მიღების გამოცხადებამდე უნდა დაკორექტირდეს, რათა არასწორად არ არ მოხდეს მისაღები პირების დარეგისტრირება.

ამავე ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაიცა ასევე რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, საჭიროა, განახლდეს სპორტული ტურის დებულება და მომზადდეს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით. ეს დებულება მომზადებულია გრძელვადიანი პროგრამების მიზნებისთვის და არის მოძველებული შინაარსის. თუმცა ნარატივის ნორმატივებით, მათ შორის, რომელიც სქესობრივ ჭრილში არის განხილული, შეიძლება გაავრცელონ მოკლევადიანებზე, მაგრამ არსად არ წერია, რომ მოკლევადიანი პროგრამებისთვის არის ეს დებულება შემუშავებული. ვინაიდან დებულება არის ძველი შემუშავებული, აუცილებელია მისი განახლება, რაზეც კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს რეკომენდაცია მათთვის მისაღებია და უკვე დაწყებულია განახლებისთვის მუშაობა.

3.4 ქვესტანდარტი რეკომენდებულია, რომ გამოკითხვის ფორმებს დაემატოს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის ფორმები.

შემდეგ ლანა გაჩეჩილაძე შეეხო სწავლის შედეგებს. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებია:

1. სამუშაოს ორგანიზება და ეფექტური კომუნიკაცია.
2. საწვრთნო პროცესის დაგეგმვა.
3. საწვრთნო პროცესის წარმართვა.
4. მსაჯობა სასწავლო-საწვრთნო და საშეჯიბრო პროცესის ფარგლებში.
5. სწორი კვებისა და ჰიდრატაციის მნიშვნელობის განსაზღვრა ფეხბურთში ჩართული პირების საჭიროებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.
6. უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ფაქტობრივად ერთგვარად ფორმულირებული ყველა ინსტრუქტორის პროგრამისთვის. განსხვავება არის მხოლოდ მე-5 შედეგში - „ფეხბურთში ჩართული პირების საჭიროებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.“ სხვა პროგრამების შემთხვევაში კონკრეტულად იმ პროგრამის სახელია ჩაწერილი. ყველა სწავლის შედეგს ყველა პროგრამისთვის აქვს ერთგვარი ფორმულირება.

შემდეგ მან წარმოადგინა ფოტომასალა, რომელზეც ასახული იყო სასწავლო ლიტერატურა, C გარემო და თეორიული სწავლებისთვის გამოყოფილი გარემო. რეალურად კომპიუტერებით აღჭურვილია B გარემო, თუმცა მას იყენებენ, როგორც A გარემოს. ქუთაისის ფილიალში იჯარის ხელშეკრულებით აქვთ აღებული ეს ფართი და ყველა ეს გარემო არის მოწყობილი A გარემოს მიზნებისთვის. C გარემო ხორციელდება სპორტულ კლუბ „დინამოს“ ქუთაისის ფილიალში. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბუნებრივი საფარია მოედანზე, რაც პრაქტიკულია მეცადინეობების ჩასატარებლად.

საბჭოს წევრის, მარიკა ზაქარეიშვილის მიერ დასმული კითხვის საპასუხოდ ექსპერტების მიერ განიმარტა ფეხბურთის ინსტრუქტორის მოვალეობა და პოზიცია - ფეხბურთში ეს არის ყველაზე დაბალი საფეხური იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც C, B და A ლიცენზიები გაიცემა ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან. პროგრამის აღწერითა და მიზნით ინსტრუქტორები ვერ

იქნებიან მწვრთნელები, ისინი არიან მწვრთნელების დამხმარე პირები. მოცემული კურსის დასრულების შემდეგ პირი აიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს, რომლის შემდეგაც შეუძლია სალიცენზიო გამოცდა ჩააბაროს. პროგრამაში მიღებული ცოდნა მას დაეხმარება ამ ლიცენზიის მისაღებად საჭირო გამოცდის ჩაბარებაში.

დარგის ექსპერტის შეფასებით, პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს აქვს საჭირო მატერიალური და ტექნიკური ბაზა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა სრულად არის შესაბამისობაში იმ სწავლის შედეგებთან, რაც საბოლოო ჯამში უნდა იყოს მიღწეული.

გიორგი გამყრელიძემ აღნიშნა, რომ ფოტოსურათზე წარმოდგენილი ფეხბურთის მოედანი კარგად მოწყობილი არ არის, ბუნებრივი საფარი კარგია, თუმცა არ ჩანს რომ მოწესრიგებულია, ვერც ფოტოზე გამოსახული ბურთები გამოიყურება იმის შესაბამისად რაც ფორმალური განათლების შესაფერისი შეიძლება იყოს. მისი მოსაზრებით მსმენელებს უნდა ვანახოთ საუკეთესო გამოცდილება. მისი მოსაზრებით უმჯობესია მოიძებნოს სხვა პრაქტიკის ობიექტი, სადაც თანამედროვე, მოწყობილი ფეხბურთის მოედანი იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ფეხბურთის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) განესაზღვროს ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ფეხბურთის ინსტრუქტორი /01206/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

საბჭოს წევრმა, გიორგი გამყრელიძემ, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განუმარტა დაწესებულებას ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი, მან დასძინა, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად საჭიროა უკეთესი, უფრო მაღალი სტანდარტის მქონე საფეხბურთო მოედანი და ინვენტარი. ერთ თვეში კოლეჯმა უნდა წარმოადგინოს მატერიალური რესურსის უზრუნველსაყოფად გაფორმებული ახალი ხელშეკრულება და დარგის ექსპერტის ჩართულობით განხორციელდეს ადგილზე ვიზიტით მეორე სტანდარტის შემოწმება.

3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ცურვის ინსტრუქტორი“ /01207/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ექსპერტის და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს წინაშე პრეზენტაცია წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ნოემბრის №1239393 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ზურაბ ხომასურიძემ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ცურვის ინსტრუქტორის“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი დისტანციურად და 2021 წლის 19 ნოემბერს განახორციელეს კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრება. გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

მან საბჭოს გააცნო ინფორმაცია პროგრამის შესახებ: პროგრამის დასახელება - ცურვის ინსტრუქტორი, პროგრამის სახე - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე მე-4, ხანგრძლივობა - 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 8. თეორიული კომპონენტის განხორციელების ადგილი ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. N55.

სწავლის შედეგების ფორმულირება ანალოგიურია სხვა ინსტრუქტორების პროგრამებისა. განსხვავებაა მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის მე-5 შედეგში, სადაც აღნიშნულია, რომ სწორი კვებისა და ჰიდრატაციის მნიშვნელობა განისაზღვრება ცურვაში ჩართული პირების საჭიროებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

მან ასევე აღნიშნა, რომ „ცურვის ინსტრუქტორის“ პროფესიული მომზადების პროგრამის შემთხვევაში, დასკვნაში არის ტექნიკური უზუსტობა. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებულ ცხრილში 2.2 ქვესტანდარტი მონიშნულია არასწორად - „სტანდარტი დაკმაყოფილებულია“. 2.2 ქვესტანდარტში რეალურად დაფიქსირებულია ხარვეზი, რაც აღწერილია დასკვნის აღწერილობით ნაწილში.

2.2 ქვესტანდარტი: ხარვეზი არის მატერიალურ რესურსთან მიმართებით. დარგის ექსპერტის შეფასებით, პროგრამის შესაბამისი C გარემო, რომელიც მდებარეობს მისამართზე, ქ. თბილისი, დიდმის მასივი, მე-3 კვარტალი, არ აკმაყოფილებს სწავლის შედეგების მისაღწევად მინიმალურ მოთხოვნებს. პროგრამა პრაქტიკული მეცადინეობების განსახორციელებლად არ არის უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

გაიცა რეკომენდაციები 1.4 და 3.4 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით:

1.4 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე და დაშვების წინაპირობაში მიეთითოს სრული ზოგადი განათლება.

რეკომენდებულია განახლდეს სპორტული ტურის დებულება და მომზადდეს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით.

3.4 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, რომ გამოკითხვის ფორმებს დაემატოს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის ფორმები.

განსხვავებული რეკომენდაციები ეხება აღჭურვილობას 1.9 და 2.2 ქვესტანდარტებთან მიმართებით:

1.9 და 2.2 ქვესტანდარტები: რეკომენდებულია, რომ საცურაო აუზი იყოს სრულყოფილად აღჭურვილი მსმენელის პრაქტიკის მიზნებისთვის საცურაო დაფებით, ლასტებითა და ასევე გადმოსახტომი ტუმბოებით. რეკომენდებულია, კოლეჯმა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების

მიზნით დამატებითი ხელშეკრულება გააფორმოს სხვა თანამედროვე, კეთილმოწყობილი საცურაო აუზის მქონე ორგანიზაციასთან.

წარმოდგენილ ფოტომასალაზე ასახული იყო თეორიული სწავლებისთვის გამოყოფილი გარემო, სასწავლო ლიტერატურა, რომელიც დარგის ექსპერტის შეფასებით, ფარავს სწავლის შედეგებს, C გარემო დიღმის მასივში (შპს „ზევის“), სადაც პრაქტიკული სწავლება უნდა განხორციელდეს.

მსჯელობა წარიმართა ერთ ქვესტანდარტზე, მატერიალურ რესურსზე. დარგის ექსპერტის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ ეჭვი ეპარებოდა დასახელებული აუზის სანიტარული პირობებისა და კეთილმოწყობის შესახებ. კოლეჯის წარმომადგენლების პოზიციით, აღჭურვილობა სრულად არ იყო წარმოდგენილი, თუმცა აუზი რეალურად ფლობდა საჭირო ინვენტარს. ამასთან, იგი აკმაყოფილებდა პროგრამისთვის საჭირო მოთხოვნებს, ვინაიდან მსმენელები სწავლობენ არა ცურვას, არამედ იმას, თუ როგორ უნდა ასწავლონ დასაქმებისას. რაც შეეხება სანიტარულ ნორმებს, კოლეჯის მხრიდან აღინიშნა, რომ აუზი აღებულია არენდით, პირობები კონტროლდება სახელმწიფო უწყებების მიერ და შესაბამისად, სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში მას შეწყვეტილი ექნებოდა ექსპლუატაციის უფლება. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ცურვის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) განესაზღვროს ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ცურვის ინსტრუქტორი /012017/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ გაიცა რეკომენდაცია, რომ მატერიალურ რესურსებზე დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად დაწესებულებამ უნდა მოიძიოს ისეთი პარტნიორები, რომლებიც მათთვის უკეთესი გარემოს მიწოდებას შეძლებენ. ვადის შესაბამისად, ერთ თვეში კოლეჯმა უნდა წარმოადგინოს მატერიალური რესურსის უზრუნველსაყოფად გაფორმებული ახალი ხელშეკრულებები და დარგის ექსპერტის ჩართულობით განხორციელდეს ადგილზე ვიზიტით მეორე სტანდარტის შემოწმება.

4. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ძიუდოს ინსტრუქტორი“ /01209/ (ქ. თბილისი) პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ძიუდოს ინსტრუქტორი“ /01208/ (ქ. ქუთაისი) პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ექსპერტის და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

პრეზენტაცია წარმოადგინა ლანა გაჩეჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან ორივე პროგრამა არის იდენტური, დღის წესრიგის მე-4 და მე-5 საკითხი წარმოდგენილი იყო ერთდროულად და დასძინა, რომ განსხვავებულია მხოლოდ განხორციელების ადგილი და პარტნიორი ორგანიზაციების C გარემოები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ნოემბრის №1239392 და №1239390 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა გიორგი ბერიძემ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ძიუდოს ინსტრუქტორის“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისისთვის დისტანციურად. 2021 წლის 19 ნოემბერს განახორციელეს კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრება. გადამოწმდა პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

პროგრამის დასახელებაა „ძიუდოს ინსტრუქტორი“, პროგრამის სახე - პროფესიული მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4, ხანგრძლივობა - 14 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12. ერთ შემთხვევაში განხორციელების ადგილია ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55, მეორე შემთხვევაში - ქ. ქუთაისი, გაპონოვის ქ. №11.

პროგრამების სწავლის შედეგები იდენტურადაა ფორმულირებული.

„ძიუდოს ინსტრუქტორის“ პროგრამების შემთხვევაში ხარვეზი არ დაფიქსირებულია, გაიცა რეკომენდაციები 1.4 და 3.4 ქვესტანდარტების კუთხით, კერძოდ:

1.4 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე და დაშვების წინაპირობაში მიეთითოს სრული ზოგადი განათლება.

რეკომენდებულია განახლდეს სპორტული ტურის დებულება და მომზადდეს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით.

3.4 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, რომ გამოკითხვის ფორმებს დაემატოს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის ფორმები.

ლანა გაჩეჩილაძემ ასევე წარმოადგინა ფოტომასალა, რომელზეც ასახული იყო თეორიული სწავლებისათვის გამოყოფილი აუდიტორიები თბილისისა და ქუთაისში, სასწავლო რესურსები და დარბაზები (ქ. თბილისში სპორტული დარბაზი „ტატამი“, ქ. ქუთაისში მძლეოსნობის კლუბი „მანეჟი“). ქ. ქუთაისში B გარემო, რომელიც გამოიყენება A გარემოდ.

აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა საბჭოს წევრების მხრიდან, შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ძიუდოს ინსტრუქტორი“ /01209/ (ქ. თბილისი) პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ძიუდოს ინსტრუქტორი /01209/ ქ. თბილისში **(დანართი 5)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ძიუდოს ინსტრუქტორი“ /01208/ (ქ. ქუთაისი) პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ძიუდოს ინსტრუქტორი /01208/ ქ. ქუთაისში **(დანართი 6)**.

კენჭისყრის დასრულების და გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ გააჟღერა რეკომენდაციები, რომელიც საბჭოს მხრიდან მიეცა დაწესებულებას:

1. სპორტული ტურის დებულებასთან მიმართებით ყველა პროგრამაზე უკვე გაცემული იყო რეკომენდაცია, რომლის შესაბამისად, ერთი თვის ვადაში უნდა მოხდეს განახლებული დოკუმენტის წარმოდგენა.

2. წარმოდგენილი თითოეული პროგრამა არის ინდივიდუალური, ამიტომ წარმოდგენილ დოკუმენტშიც გამოჩნდეს, თუ რა მოითხოვება კონკრეტული პროგრამის ფარგლებში მისი სპეციფიკის გათვალისწინებით. სხვადასხვა პროგრამისთვის არ მოხდეს თუნდაც ნორმატივების იდენტურად გაწერა.


დაწესებულებაში ცურვის ინსტრუქტორის და ფეხბურთის ინსტრუქტორის პროგრამების განმეორებითი შეფასება განხორციელდება უსაფრთხოების ზომების დაცვით, დაწესებულებაში ვიზიტით და შემოწმდება მეორე სტანდარტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 14:55 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01202	კრივის ინსტრუქტორი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	9	ქართული	8	ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01199	სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	10	ქართული	8	ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01204	სპორტული მასაჟისტი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	8	ქართული	10	ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01205	სპორტული მასაჟისტი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	8	ქართული	10	ქ. ქუთისი, გაპონოვის ქ. №11

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01209	მიუდოს ინსტრუქტორი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	14	ქართული	12	ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01208	მიუდოს ინსტრუქტორი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	14	ქართული	12	ქ. ქუთისი, გაპონოვის ქ. №11